საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000067674736520

№ 02-118-R

29 / ივნისი / 2020 წ.

ბრძანება

კარანტინში გადაყვანილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდების გადავადების შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, ახალი კორონავირუსის (COVID-19) მასობრივი გავრცელების პრევენციისათვის, საქართველოს მთავრობის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, კორონავირუსთან დაკავშირებით მოქმედი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების, 2020 წლის 01 ივნისის რექტორის N02-88-R ბრძანებით დამტკიცებულ ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის, 2020 წლის 15 ივნისის რექტორის N02-105-R ბრძანებით დამტკიცებული ინფექციური დაავადებისათვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმის დანართის-კონსერვატორიაში საკვალიფიკაციო (დამამთავრებელი), ბაკალავრიატის მისაღები და მაგისტრატურაში გამოცდის ჩატარების საგანგებო გეგმის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ექიმის დანიშნულებით კარანტინში (თვითიზოლაცია) გადაყვანილ ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებისათვის სახელმწიფო გამოცდები გადავადდეს 23 ივლისამდე.
2. უცვლელი დარჩეს სახელმწიფო გამოცდებისათვის შექმნილი კომისიის შემადგენლობა.
3. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ნანა შარიქაძე